ბრძოლა აფხაზეთისთვის - მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის

მონოგრაფია წარმოადგენს სადისერტაციო კვლევის და მისი მხარდამჭერი პროექტის ერთ-ერთ კომპონენტს და ეძღვნება აფხაზეთის კრიზისის მოგვარებას.

საქართველოს სახელმწიფო სისტემა არასაკმარისად იყენებს მის განკარგულებაში არსებულ რესურსებს იმისთვის, რომ შეცვალოს ძალთა ბალანსი. ამ თვლსაზრისით, მისი პოლიტიკა ემყარება საგარეო პოლიტიკის ვექტორს და ეს შეეხება რუსეთის აგრესიული პოლიტიკის საწინაამღდეგოდ გარე მოკავშირების ძიების პროცესს. სამწუხაროდ, კონფლიქტის თეორიის ენაზე ეს არის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის და არა ლოკალიზაციის პოლიტიკა, რომელიც დაიწყო 90-ან წლების მიწურულს და დღემდე „ნაყოფიერად“ გრძელდება. ამიტომ ეს ხელს უწყობს არა კრიზისიდან გამოსვლას, არამედ რუსეთის და მისი ძველი და ახალი მოკავშირეების აგრესიის არაპროპორციულ ზრდას და კრიზისის გაღრმავებას და მის „მონუმენტალიზაციას“.

ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტური მტკიცებულებები ნათლად ამტკიცებენ ქრონიკულად არსებული ისეთი შეცდომების სიმრავლეს, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნის საქართველოს უშიშრეობის ეროვნულ სისტემას.

ამიტომ, ჩვენ ვემიჯნებით ამ არსებულ ნარატივს და გვაქვს სურვილი შემოვიტანოთ სამეცნიერო-პოლიტიკურ დისკურსში განსხვავებული ხედვა და დავანახოთ საქართველოს პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას დღემდე გამოუყენებელი შესაძლებლობები.

სადიერტაციო ნაშრომი „კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის როლი აფხაზეთის თანასაზოგადოების მშენებლობაში“, ემსახურება უპირველესყოვლისა კონფლიქტის სტრუქტურის სამეცნიერო აღწერას და მის შესაბამისობასი ახალ სამშვიდობო პროცესის მშენებლობას.

კონფლიქტების თეორიის მიხედვით, კრიზისიდან გამოსვლა შესაძლებელია არა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციით რაც ჩვენს რეალობაში ხდება, არამედ პირიქით - მისი

ლოკალიზაციით და სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციით. კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია ზრდის კონფლიქტის მხარეების და სუბიექტების რაოდენობას და „აძვირებს“ კონფლიქტის მოგვარების პროცესს.

კვლევებმა დაგვარწმუნა, რომ ეს თითქოს ბანალური ჭეშმარიტება, საქართველოში გააზრებული არაა რაც წარმოადგენს **პოლიტიკური მეცნიერების, პოლიტიკური განათლების და პოლიტიკური კულტურის** შესაბამისი ინსტიტუტების პრობლემას.

ამ ყველაფრის მიზეზი კი პოლიტიკის მეცნიერებების კრიზისში მდგომარეობს. საქართველოს პოლიტიკის მეცნიერება ვერ ქმნის შესაბამის ღირებულ პროდუქტს და თუ ქმნის , მას არ გააჩნია ძალა საკუთარი პროდუქტის შესაბამისი შეფუთვის და პრაქტკაში გამოყენების. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ დარგის გამოყენებითი მეცნიერების კომპონენტის სრული კრახი.

მონოგრაფიაში „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“ წარმოდგენილია მტკიცებულებათა პაკეტი, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში:

- არ არსებობს პოლიტიკის მეცნიერების და განათლების განვითარების სტრატეგია;
- არ არსებობს პოლიტიკის მეცნიერების დარგობრივი საბჭო;
- პოლიტიკური განათლების სფეროში მოღვაწე ინსტიტუციების ფუნქციონირება არ შეესაბამება ეროვნული უშიშროების კონცეპციის და „საფრთხეების დოკუმენტის“ შინაარს;
- პოლიტიკური მეცნიერების და განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება ელემენტარულ საერთაშორისო სტანდარტებს;

ეს ყველაფერი ქმნის ვითარებას, რომელიც შეიძლება დახასიათდეს პოლიტიკური პროცესების მართვის, ანუ პოლიტიკის პოლიტიკის კულტურის არარსებობით. ამის მნიშვნელოვანი მაგალითია პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული ვითარება.

უპირველესყოვლისა ამაზე პასუხს უნდა აგებდეს საქართველოს პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტი, თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი და შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურები. განსაკუთრებული პასუხისგებლობა ამ თვალსაზრისით

ეკისრება საქართველოს მეცნიერების ეროვნულ აკადემიას და საუნივერსიტეტო სამეცნიერო საზოგადოებას.

სამწუხაროდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აქტიობა ამ თვლასაზრისით შემოიფარგლება მხოლოდ 2014 წლის დოკუმენტით, რომელიც შეეხება ზოგადად მეცნიერების განვითარების პრობლემებს.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ამ ვითარების გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.

მინდა მადლობა გადაუხადო შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნულ ფონდს და ასევე პირადად განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნუნუ მიცკევიჩს, რომლის ხელშეწყობის გარეშე ეს კონკრეტული კვლევა ფიზიკურად ვერ ჩატარდებოდა.

მოხარულნი ვართ, რომ განხილვის სტადიაშია 2022-2032 წლის განათლების და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი და გვაქვს იმედი, რომ მასში აისახება ჩვენს მიერ ამ მონოგრაფიაში და ზოგადად კვლევაში მოძიებული სტრატეგიული ხასიათის და სამეცნიერო ღირებულების ინფორმაცია. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ პოლიტიკის მეცნიერებაში არსებული პრობლემები წარმოადგენენ არა მხოლოდ დარგობრივ პრობლემას, არამედ - ზოგადად მეცნიერებაში არსებული კრიზისის შედეგს.

გვაქვს იმედი, რომ სამინისტროს მხრიდან ხელი შეეწყობა:

1. პოლიტიკის მეცნიერების და განათლების დარგობრივი საბჭოს შექმნის ინიციატივას;
2. მონოგრაფიაზე დაყრდნობით - პოლიტიკის მეცნიერების და განათლების ეროვნული სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შექმნას;
3. ჩვენს მიერ შექმნილი დარგობრივი კლასიფიკატორის ექსპერტიზას და კლასიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში შესაბამისი ცვლიელებების შეტანას;
4. მონოგრაფიაში წარმოდგენილი კონცეპტუალური კომპონენტების ინტეგრირებას ზემოთ ხსენებული 2022-2032 წწ ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტში და შესაბამის სამოქმედო გეგმაში;

5. განათლების და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტში მონოგრაფიის პრეზენტაციას და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის პროცესში პოლიტიკური მეცნიერების და განათლების კომპონენტის შეტანას;
6. მეცნიერებათა აკადემიაში მონოგრაფიის პრეზენტაციას, და მათ ჩართულობას მონოგრაფიაში წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელებაში;
7. აფხაზეთის კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფის მიზნით - წმინდა სიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის დაარსებას და მონოგრაფიაში წარმოდგენილი მოდელის რეალიზაციას;
8. მონოგრაფიაში წარმოდგენილი აფხაზეთის კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციის ახალი მოდელის ექსპერტიზას და მის წარმოდგენას შესაბამის პოლიტიკურ ინსტიტუტებში;
9. სამინისტროს განსაკუთრებული სტრატეგიული და ფუნდამენტური როლის განსაზღვრას და ოფიციალურ დეკლარირებას აფხაზეთის და სხვა კრიზისების მოგვარების საქმეში;

ასევე გვაქვს იმედი რომ სამინისტროსთან თანამშრომლობა მიიღებს პერმანეტულ ხასიათს, რასაც განაპირობებს შესაბამისი ფორმატი.

პატივისცემით,

ალექსანდრე რუსეცკი